№ 236

თოხშაბათი, 3 ნოემბერი, 1899 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 236

ოთხშაბათი, 3 ნოემბერი, 1899 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 4 ნოემბერს,

ქართულის დრამატიულის საზოგადოების არტისტებისაგან, **ქ-ნ გაბუნია-ცაგარლისა** და **ანასტასია აბაშიძის მონაწილეობით** წარმოდგენილი იქნება

I

### ბედნიერი დღე

კომ. 3 მოქმედ., თხზ. ოსტროვსკისა და სოლოვიოვისა.

II

მეორე მოქმედება ა. ცაგარლის კომედიიდგან

### ხ ა ნ უ მ ა

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილისა, ანასტ. აბაშიძე, ნებიერიძე; ბ-ნნი აბაშიძე, ყიფიანი, გედევანოვი, შათირიშვილი, ადამიძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე

რეჟისორნი **ვ. აბაშიძე** და **კ. მესხი**

**მზადდება ახალი პიესა გაბ. ხოშტარიასი „სიცოცხლე და სიკვდილი“.**

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე

კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**დ. კ. ერისთავი**—სადოსტაქრო (საქირურგიო). 10—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10½—12 საათ. (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით).

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**იაგ. ქ. ადამიანი**—შინაგანი (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით)—12—1 საათ.

**ნ. ზ. უმიკოვი.**—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

**ი. დ. ბიგთაბეგოვი**—საფილასისა, კანისა და საშარდესი—1—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**კ. ი. გძელიშვილი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—2—3 საათ. (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით).

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ს. ი. ვაჩაძე.**—შინაგანი და მასაჟი—6—7 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**გ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. გაგანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** 1½—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**გ. ა. ნავასარდიანი.** 7—7½ საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს სამკურნალო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით. მიმართონ 11—1 საათამდე.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардiана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову (—1—ჩ).

## ექიმი

## კ. ს. გძელიშვილი

მ ი ი ღ ე ბ ს

**ყელისა, ცხვირისა და ყურით** ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки.

(100—31—67)

## ქართველ ქალთა სამკერვალო

1 ოქტომბრიდგან გაიხსნა და მიიღებს კაბებს შესაკერად.

იქვე მიიღებენ შეგირდებს: ღარიბებს მუქთად, ხოლო დანარჩენთ თითო მანეთი უნდა გადაიხადონ.

მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერნენ ჭრა კერვის კურსებზედ.

**საჭიროა გამოცდილი ტანისამოსის მკერავი ქალი სამკერვალოსათვის.**

ადრესი: ბარონის ქუჩა, № 12.

ტფილისი 3 ნოემბერი

ჩვენს მკითხველებს მოეხსენებათ, რომ ამ ბოლოს ხანებში ჩვენს ქვეყანას ეწვია ორი სტუმარი, ერთი მეცნიერი-არქეოლოგი ბარონი დე-ბაი და მეორე რუსთა მწერალი ევ-ლ—ძე მარკოვი. ჩვენს მკითხველებს ისიც მოეხსენებათ, რომ ამ უცხო სტუმართ წვეულება გაუმართეს ჩვენის საზოგადოების ზოგიერთმა წევრმა, კარგა ბლომად ერთად თავ მოყრილმა.

არაფერი საკვირველი არა არის-რა, რომ ამ შორიდამ მოსულ სტუმრებს მათთა მაღლოვნელ ნაცნობთა და აგრეთვე მათდა მოღვაწეობის ზოგიერთ პატივის მცემელთა წვეულება გაუმართეს, რათა თავისი პატივისცემა გამოუცხადონ, თავიანთ ქვეყანაში მასპინძლობა გაუწიონ და შეძლებისამებრ შეაქციონ და მოულხინონ. განა საფიქრებელია, რომ ამ სტუმართ-მოყვარეობის უწყინარს

## ფელეტონი

### ორი სამრეწველო გამოფენა პეტერბურგში

(დასასრული*)

სამრეწველო ხასიათი მებაღეობის ცხლანდელ გამოფენაზედ ყვავილების და საზოგადოდ საორანჟერეო განყოფილებას ეტყობოდა. გამოფენის ნახევარი თითქმის იმას ეჭირა. აქ ცხელის ქვეყნის შესანიშნავი მცენარეები, ვარდები და ოთახის მცენარეები იყო გამოფენილი ელაგინის კუნძულის (სამი ვერსის მოშორებით ქალაქზედ) სასახლის ორანჟერეებისა და პეტერბურგის საიმპერატორო ბატანიკურ ბაღისა (იქვე აფთიაქის კუნძულზედ).

ამ ორის კუნძულის ბაღებისა და ორანჟერეების დათვალიერება მთლად თვალ-წინ დაუყენებს მნახველს მთელის დედამიწის საუკეთესო მცენარეულობის ათასგვარ ჯიშს. ბოტანიკურ ბაღის დირექტორი, გვიხსნიდა რა იქაურ ორანჟერეებსა და სათფუნებელში ნახულ მცენარეების სახელებსა და ღირსებას,—ყველგან განსაკუთრებულ ყურადღების ღირს მცენარეების შესახებ უმატებდა: „ეს მთელ ევროპაში არსად მოიპოვება, გარდა ჩვენის ბაღისაო“. თავი რომ გავანებოთ ჩვეულებრივს გატაცებას სპეციალისტებისას ამგვარებში,—უნდა აღვიაროთ, რომ ამ ბაღის მცენარეულობა შესანიშნავი რამ სანახავია და მართლაც, როგორც ამბობდნენ მცოდნე მებაღეები, მთელს ევროპაში ამის მსგავსი სხვა-და-სხვა მცენარეულობით მდიდარი ბაღი არ მოიძებნება.

და ან კი როგორ უნდა განვითარებულიყო პეტერბურგსა და მის ახლო-მახლო სააგარაკო ადგილებში ეგრედ წოდებული „оранжерейное“ ანუ „комнатное цвѣтоводство“, როდესაც ყოველი ცოტათ შეძლეული ოჯახი თვისს მიუცილებელ მოვალეობად სთვლის ოთახში 10—15 ქოთნებსა და კასრებში აღზდილი მცენარე დაიდგას ჰაერის გასაწმენდად. ახლა აიღეთ მრავალი სასახლეები, რომლებითაც ასე მდიდარია პეტერბურგი და მისი საგარაკო ადგილები, მრავალგვარი კერძო მდიდრული სახლები, დაწესებულებანი, სადაც საორანჟერეო მცენარე-ყვავილებით მორთვას მეტად დიდი ადგილი უჭირავს. წარმოიდგინეთ ის აუარებელი სიმდიდრე, რაც ამ სანებიერო საგნებისთვის იხარჯება და სრულიად მოულოდნელი გასაგონი აღარ იქნება ის დასკვნები, რომელნიც ჩვენ გაკვრით აღვნიშნეთ მეურნეობის შესახებ.

რაც შეეხება ტეხნიკურად შემუშავებულ ხეხილებისა და ბოსტნეულობის განვითარებას,—აქ აი რა სურათს გვიხატავს სამიწათ-მოქმედო დეპარტამენტის წიგნი. ბესარაბიაში ყოველწლობით გამხმარ-ხეხილს და ბოსტნეულობას ამზადებენ 400,000 ფ., პოდოლის გუბერნიაში—500,000 ფ., აქ საუკეთესო მწარმოებელია კნეინა ა. მ. ხილკოვისა. ყირიმში ხმობას ნაკლებად მისდევენ, სულ 100,000 ფ. მზადდება, რადგან იქაურ ხილს გაუხმობელს უფრო სახელი აქვს. კავკასიაში ხილს მომეტებულად მზეზედ ახმობენ და ტეხნიკურ გაუმჯობესობას არ მისდევენ, რის გამოც აქაურ გამხმარ ხილს რუსეთის სატახტო ქალაქებში ბაზარი არ აქვს.

მართალია, სამიწათ-მოქმედო დეპარტამენტის წიგნის ცნობებიდგან სჩანს, რომ 1889 წ. მოკიდებული 96 წ. მებაღეობის ნაწარმოების გარედგან შემოტანას უმატნია და რუსეთი ვერ უწევს მეტოქეობას უცხო-ქვეყნის საქონელს, როგორც ამას სარძეო ნაწარმოების ვაჭრობაში ვხედავთ, მაგრამ ეს მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ აქაც ტეხნიკა წარმოებისა ისე არ განვითარებულა, როგორც საზღვარ-გარეთ. რაც შეეხება უმ მასალას, იგი აუარებელს იძლევა

ბაზრის მოპოვებისა და გაფართოების ამ გვარ ბრძოლაშია დღეს რუსეთის სამრეწველო მეურნეობა, მაგრამ რას ვხედავთ ამავე დროს რუსეთის გლეხკაცობის ნივთიერ და მოკიდებულებაში? სარგებლობენ თუ არა ისინი ამ სამრეწველო მებაღეობა-მებოსტნეობის განვითარებით? ან შეაქვს თუ არა კერძო მესაკუთრეთა წარმოების გაუმჯობესებულ ტეხნიკას იმათს მეურნეობაში ცვლილება და თუ შეაქვს, რამდენად ხელ-მისაწვდენია იმათთვის დღევანდელი კულტურულ იარაღებით სარგებლობა?

ეს და სხვა ამ გვარი კითხვები რუსულ საეკონომიო ლიტერატურაში დღე-დღეზედ იბადება და აქამომდე ერთ საზოგადო მოვლენად ის ჩაითვლება, რომ რუსეთის გლეხკაცობა მე 60 წ-დე თუ იურიდიულად მონობაში იყო, დღეს ეს ეკონომიურზედ შეცვალა იმ განსხვავებით, რომ ძველად იგი თავისს „община“-ს (ამ ძველებურ საფუძველს რუსეთის მეურნეობისას) კრაზედ იყო მიბმული; ახლა კი, ხელ-ფეხ შეხსნილი ერთი ნაწილი ამ გლეხკაცობისა ახალ გარემოებას უფრო შეეთვისა, მსხვილ მესაკუთრეებად გადიქცა, ხოლო მეორე ნაწილი ან სულ უმიწა-წყლოდ დარჩა და სამუშაო ლუკმა-პურისათვის სხვის კარზედ ეძებს (ამათი რიცხვი, მართალია, ყველგან ერთნაირი არაა), ან ორიოდე კვალ მიწის პატრონი თუ ვინმეა, იმისი შემოსავალი ეხლანდელ ათასგვარ გადასახადს ვერ ასდის და იმისს მეტად განსაზღვრულ მოთხოვნილებას 2—3 თვესაც ვერ აკმაყოფილებს. დანარჩენ დროს კი ესენიც ქალაქებისაკენ მიეშურებიან და იქა ჰყიდიან ერთად-ერთ თავისს საქონელს—ფიზიკურ შრომას, რომლის ფასიც ამ უკანასკნელ ხანს, სხვა მიზეზთა შორის, შიმშილობის გამო, შესამჩნევად ჰკლებულობს.

ამ მოვლენას რუსეთის საეკონომიო ცხოვრებისას მრავალნი სხვა-და-სხვა მიზეზით ხსნიან: ზოგნი უარყოფენ მის შემდეგს განვითარებასა და „община“-ში ჰხედავენ გლეხის მიწაზედ მიმაგრებულსა და ცხოველმყოფელს ძალას, ზოგნიც ამ გვარ მოვლენას პროგრესიულად ჰსახავენ და ამასა სთვლიან გაბოგნებულ კლასის ხსნად.

ჩვენ, რასაკვირველია, ზოგიერთე ბსავით არ გავკადნიერდებით და ჯერ

*) იხ. „ივერია“ № 235.

სურვილს ჰკუათა მყოფელი კაცი ვინმე გამოეკიდებოდა და გულიდამ ღვარძლს დაანთხევდა?

საცა ზრდილობა და მართებულებაა, განა საფიქრებელია კაცმა კაცს უკიჟინოს სტუმარი რად ისტუმრეო? საცა კაცთა უწყინარის სურვილის და აზრის შეწყნარებაა, განა საფიქრებელია კაცმა კაცს ნიშნი მოუგოს და წააყვედროს ამ კაცს რად გაუმასპინძლდი მაშინ, როდესაც ბუგუჩარსკის და მიხაილოვსკის ეგ კაცი სულაც არ მოსწონთო? საცა სტუმართ-პატივის-ცემას და სტუმართ-მოყვარეობას ჯერ კიდევ სრულად არ დაჰკარგვია თავისი პატიოსნური აზრი და სიყვარულიანი, გულ-კეთილი პურმარილობა, კაცთა შორის, ჯერ კიდევ ღვთის მადლით პატივ-სადებია, განა საფიქრებელია კაცმა სასაცილოდ აიგდოს სტუმარიც და მასპინძელიცა, მერე ოთხ-კედელ შუა კი არა, საჯაროდ, საქვეყნოდ? საამისო რა არის იმ გარემოებაში, რომ სტუმარი მიიღეს, შეძლებისამებრ, ზრდილობით და სიყვარულით დაუხვდნენ და თუნდაც მეტის-მეტის ქებით ცამდეც აიყვანეს?

თურმე ნუ იტყვით, ყოველივე ესე საფიქრებელი ყოფილა, მერე სად? ჩვენში, ამ ჩვენს დედაქალაქს ტფილისში, საცა ეგრედ წოდებულნი კულტუროსანნი ქედმაღლობენ. მერე ვისგან? აქაურ კულტუროსან თ. გ. თუმანიშვილისაგან და კულტუროსანვე ხეჩატუროვისაგან. პირველმა ბ-ნის ივანოვიჩის პირით დაგვიწუნა სტუმარი ევ. ლ—ძე მარკოვი და კვირის ნომერში გამოაცხადა,—აბა რა კაცია ევ. მარკოვი, რომ მიიწვიეთ და პატივი ეცითო. აი ბუგუჩარსკი, მიხაილოვსკი და სხვანი რა ავად იხსენიებენ მაგ თქვენს მარკოვსაო და თქვენ-კი აგილიათ თავი, მიგიწვევიათ, ერთი დიდი ზეიმი გაგიმართავთ და დიდის ყოფით და ამბით დახვედრიხართო. ამ სახით სტუმარსაც და მასპინძელსაც მტვერ ბუქი მიაყარეს და ანდერძი აუგეს.

შესაძლოა, ბუგუჩარსკი და მიხაილოვსკი სწუნობდნენ ევ. მარკოვსა, ხოლო სასურველია ვიცოდეთ თვით თ. გ. თუმანოვის აზრი ამ საგანზე. დიდი ხანია ვიცით, რომ თ. გ. თუმანოვი ჭკუიანობს და ესე რად განაბულა თვითონ და ბუგუჩარსკისა და მიხაილოვსკის კალთას ქვეშ შემძვრალა ბუმბულ დაყრილ წიწილასავით, აქუფრო თბილად ვიქნებიო.

ჭკუით-კი ჭკუიანობს თ. თუმანოვი, მაგრამ, საუბედუროდ, საფანელი აკლია. ეს ყველამ იცის და ისიც იცის ყველამ, რომ იგი მარტო სხვისაგან ნასესხის ჭკუით სცხოვრობს, ჰსულდგმულობს და იცოხნება. ჭკუა იმისთანა რამ არის, რომ, თუ საკუთარი არა გაქვთ, მეტი გზა არ არის, უნდა სხვისაგან ისესხოთ, რაკი არ დაგიშლიათ და ჭკუიანობაზედ თავსა სდებთ. კარგი ის არის, რომ ჭკუა ძალიან ადვილად სასესხებელია: არც ხვეწნა უნდა, არც ვექსილის მიცემა, არც სარგებლის გადება და, წარმოიდგინეთ, თავნსაც-კი არავინ მოგთხოვთ უკან. ნეტავი, თქვენის სიცოცხლით, ფულის ბანკიც ასე ადვილად და მუქთად იძლეოდეს სესხს, როგორც დალოცვილი ჭკუის ბანკი. ვაი რომ ესე არ არის. რა იქნებოდა იმ დალოცვილს ყოვლად შემძლებელ ღმერთს ჭკუის ბანკი ფულის ბანკის წესზე აეგო და ფულის ბანკისათვის ჭკუის ბანკის თვისება მიენიჭებინა. მართალია, მაშინ თ. გ. თუმანოვი გაკოტრდებოდა მთელის თავისის Новое Обозрѣніе-ითურთ, რადგანაც, აქაო და მუქთია და სხვამ არ დამასწროსო, ბევრი ვალი აულია სხვისა ჭკუისა და საიდამ გარდაიხდიდა ამოდენა ვალის თავნსა და სარგებელსა. ქვეყანა-კი ბევრს მოიგებდა. მაშინ არც თვით თ. გ. თუმანოვი შეწუხდებოდა ძალიან. პირიქით, ჰერში ქუდსა სტყორცნიდა სიხარულით, რადგანაც ლიბერალია და ლიბერალი ხომ მარტო ქვეყნის საკეთილოდ იღვწის და საკუთარი თავი დავიწყებული აქვს. ჯანაბას ჩემი თავიო, იტყოდა, ოღონდ მშიერ-მწყურვალთ მუცელი გაიძღონო. განა კოჭებში ვერ შეგიმჩნევიათ, რომ თ. გ. თუმანოვი სხვისათვის ასე თავდადებულია, თუ ამით თვითონ არა აკლდება-რა, არა ეხარჯება-რა.

საკვირველია!.. ბუგუჩარსკი და მიხაილოვსკი ასე სწუნობენ ევ. მარკოვსაო. ძალიან კარგი, მერე რომ სწუნობენ? ბ-ნი მარკოვი მწერალი კაცია და საკუთარი ლარი და ხაზი აქვს ასე თუ ისე გავლებული მწერლობაში და, რა საკვირველია, ზოგიერთი სწუნობდეს კიდეც, თუნდაც უფროს-ერთიცა. ხომ შესაძლოა ქვეყანაზე იმისთანანიც იყვნენ, რომ მოსწონდეთ ხსენებული რუსის მწერალი? რადა ჰგონია ან ბ-ნ ივანოვიჩს, ან თ. გ. თუმანოვს, რომ მთელი ქვეყანა ისე უნდა აზრიანობდეს და ჰფიქრობდეს, როგორც ბუგუჩარსკი და მიხაილოვსკი, თუნდაც ესენი ციდამ ვარსკვლავებს ეზიდებოდნენ? ნუ თუ ქვეყანა მარტო ამ ორ კაცზე შესდგა და სხვას თავისი საკუთარი აზრი აღარ უნდა ჰქონდეს და თუ აქვს, განა უნდა ეკიჟინოს? ერთს რად უნდა გაეხსნას კარი წუნისა, თუ მოწონებისათვის და მეორეს-კი შეეკრას? ყველას ბუგუჩარსკის და მიხაილოვსკის თავი ხომ არ აბია? შესაძლოა სხვანი ყველანი სცდებოდნენ ამ ორ კაცს გარდა, ხოლო თვითეულს კაცს ცალკე რად უნდა ჩამოერთვას ნება თავისი საკუთარი აზრი იქონიოს და იგი აზრი ასე თუ ისე გამოაცხადოს, როცა ამისი შემთხვევა მიეცემა. და რად სდევნის და მტვერ-ბუქს აყრის ამისთანა საკუთარის აზრის მქონებელთ „Новое Обозрѣніе“ ბ-ნ ივანოვიჩის პირითა: ჰა, ბუგუჩარსკიმ და მიხაილოვსკიმ ასე სთქვაო და თქვენ როგორ გაჰბედეთ და სხვა სთქვითო. ამას ჰქვიან იგი შეუწყნარებლობა სხვისის აზრისა, რომელსაც ეხლანდელ დროში მარტო ბარბაროსი თუ კადრულობს და არა ჭეშმარიტი ლიბერალი, მაგრამ სად ჭეშმარიტი ლიბერალობა და სად თ. გ. თუმანოვი! შუა უზით დიდი ზღვარი. თ. გ. თუმანოვი ხომ ლიბერალობს, მაგრამ რა ხილია ეს ლიბერალობა ჯერ აქამომდე გემოდ არ გაუღია. იგი ლიბერალურს აზრს ვერ გაუგებს ხოლმე საკუთარის ჭკუით თავსა და ბოლოს იმ დრომდე, ვიდრე ან სხვა არ ჩააგონებს, ან ქვეშ არ მიუწევს,—ეს ლიბერალური აზრია და ღმერთი არ გაგიწყრეს არ აგერიოსო. ამისი არა ერთი და ორი მაგალითია.

აი თუნდა ერთი ამისთანა მაგალითი: ამ ტყუილმა ლიბერალმა ბუგუჩარსკი და მიხაილოვსკი იმისთანა ავტორიტეტებად წამოგვიტუზა წინ, რომ ფიანდაზად უნდა ფეხ-ქვეშ დაეგოთო ყველანი. ესეც, რასაკვირველია, ერთი დარგია თუმანისებურ ლიბერალობისა. ეჰ, მახლას!.. დრონი მეფობენო, ნათქვამია. რამდენჯერ უქნავლია თ. გ. თუმანოვს, რამდენჯერ უჩხავნია, რომ ეხლანდელ დროში ძირი შეერყა ავტორიტეტობას, რომ ავტორიტეტების ხელ-შეუხებლობა, ბრმად რწმენა მათი რეტროგრადობააო და ეხლა მისმა გაზეთმა-კი ბუგუჩარსკი და მიხაილოვსკი ავტორიტეტებად დაგვიბრძანა და გვეუბნება: ისინი ასე ჰფიქრობენ და თქვენ როგორ ჰბედავთ და სხვასა ჰფიქრობთო. ასე, ჩემო მანასეო, ხან ესე და ხან ისეო. ასეთი ორ-პირობა დღეს სიფთა ვერცხლია. ეხლა, ბატონებო, სხვა ქარი ჰქრის და რად უნდა გვიკვირდეს ასეთი წაჯეგ-უკუჯეგობა?

დავანებოთ თავი ამ სუტ-ლიბერალობას თ. გ. თუმანოვისას და ერთი ეს ვიკითხოთ: რა ზრდილობამ, რა მართებულობამ მისცა ნება ამ საუცხოვო ლიბერალს ავად უხსენოს მასპინძელი სტუმარსა, ან სტუმარი დაუწუნოს მასპინძელსა, ვინც გინდ იყოს სტუმარი—ცალკე კაცი, თუ მთელი კრებული. ხეჩატუროვმა რომ ჩაიდინოს ამისთანა სიბრიყვე, ვინ რას იტყოდა? ყველამ იცის, რომ არა შესჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი. თ. გ. თუმანოვს-კი ქვეყანა უნახავს, რიგიან საზოგადოებაში ყოფილა, ზრდილსა და მართებულს ოჯახში გაზდილა და ეს ხეჩატუროვისებური სიბრიყვე სად და ვისგან მოუპოვებია, სად და ვისგან დაუსაკუთრებია?

დიდი საძრახისი არ არის, რომ კაცი სხვისის ჭკუით იოლად მიდიოდეს, მაგრამ ზრდილობა-კი, მართებულობა-კი იმოდენად შეთვისებული მაინც უნდა ჰქონდეს, რომ იგრძნოს რა გაუთლელი და სამარცხვინო სიბრიყვეა კაცმა შეუგინოს მასპინძელს სტუმარი, ავად უხსენოს, დაუწუნოს და უკიჟინოს,—რად ისტუმრე და პატივი ეცი კაცს, ბუგუჩარსკისა და მიხაილოვსკისაგან დაწუნებულსაო. ნუ თუ ესეც ლიბერალობაა! დიაღ, ლიბერალობაა, ხოლო „Новое обозрѣніе“-სებური, რომელიც მარტო იმაზეა აგებული, რომ გლეხს უნდა უთხრათ მობძანდითო და სხვას-კი ყველას მოეთრიეო. ვერც თ. გ. თუმანოვი, ვერც მისი წამქეზებელი ბ-ნი ივანოვიჩი ამ სამასხარო ლიბერალობაზე წინ ვერ წასულა და მაღლა ვერ აწეულა.

თუ „Новое обозрѣніе“-მ ამისთანა უზრდელობა იკადრა, რაღა გვეთქმის იმ წერილის გამო, რომელიც დაბეჭდილი იყო „Тиф. Листокъ“-ში ვიღაცა „ისტორიკოსის“ სახელით. ჩვენ არ ვიცით,—ვინ არის ეს ხეჩატუროვის თორნეში ახლად გამომცხვარი „ისტორიკოსი“? ჩვენ შორს არ წავალთ. ფრანგები იტყვიან: მითხარ ვის იცნობ, გეტყვი ვინა ხარო. თურმე ნუ იტყვით, ხსენებულის „ისტორიკოსის“ ნაცნობი ხეჩატუროვი ყოფილა. ჩვენთვის ეს ამბავიც საკმაოა გამოსაცნობლად რა წითელი კოჭიც ბძანებულა ეს ახირებული „ისტორიკოსი“.

---

კიდევ დაუბოლავებელ და გამოურკვეველ კითხვებს რუსეთის ეხლანდელ ცხოვრებისას ერთის, ორის კორესპონდენტულ ხასიათის წერილში არ გადავწყვეტთ, მიგვაჩნია-რა იგი მეტად სერიოზულად. ამის შესახებ დაწყებულია გაცხარებული პოლემიკა რუსულ ჟურნალ გაზეთებში დაუსრულებლად. აქ თუ იმათ შესახებ გაკვრით ალვძარით ლაპარაკი, ამის მიზეზი დღევანდელ სამეურნეო გამოფენა და კრებანი გახდა, როგორადაც იგი ჩვენ, გარეშე მეთვალყურეს, თვალ-წინ დაისახა. ჩვენ გვინდოდა აგვეხსნა, თუ ვინ იყო დღევანდელი გამოფენების პატრონ-მფარველი და ვისის ინტერესების დამცველ-შუამდგომელნი აღმოჩნდნენ ეხლანდელი მეურნეობის წარმომადგენელნი. დავინახეთ, რომ გლეხების, მუშა ხელის შესახებ აქ ყველა ბევრსა ლაპარაკობდა, იმათ დახმარების გამო ტკბილ, ლიბერალურ სიტყვებსა და სურვილებს აცხადებდნენ და საქმით კი რა აღმოჩნდა?! ის, რომ მას აქ არავითარი გამონაფენი არ ჰქონდა, გარდა თვისის შრომა ნაღვაწისა, რომლის ნათელი სახე სამრეწველო ხარბობის სიბნელეში ყველგან ასე რიგად იქმნება.

ბევრი სჯა გასწიეს იმის შესახებაც, თუ რა მიზეზია, რომ გლეხკაცობის უმეტესი ნაწილი დღევანდელ ტეხნიკის წინმსვლელობით იმათსავით (მსხვილ მეურნეობისა) ვერ სარგებლობს, რომ მას ცენტროფუგ-სეპარატორების ხმარება არ ეხერხება, დამყნა გადარგვის საქმე არ ესმის, სიწმინდესა და საზოგადოთ ჰიგიენურ მოთხოვნილებათ არ იცავს და ამ რიგად წარმოების ტეხნიკას არ აუმჯობესებს, ძველებურ გზა-კვალს ადგია და მარ. სხვა. ბოლოს, ერთგანაც და მეორეგანაც, ყოველ ამის დამაბრკოლებელ მიზეზად აღიარეს იმათი გაუნათლებლობა, რომლის მხრივ რუსეთის მკვიდრი, ერთის ორატორის სიტყვით, არამც თუ ევროპის სახელმწიფოებში, აზიაში—თათრებზედაც უკან მდგარა. მაშ ისევ განათლებას მოვუსპათ ხელიო, დაიძახეს ერთხმად და თავიანთ მრავალ-მუხლოვან შუამდგომლობათა რიცხვში გლეხის კულტურულად წინწაწევისათვის საჭირო ღონისძიებანიც შეიტანეს, რათა იმათ შუამდგომლობათ ვიწრო, სავაჭრო ხასიათი არ მისცემოდა და, რომ თავი და თავი, „მუშა ხალხი იმათ ინტერესებს შეგნებულად ემსახურებოდეს“, როგორც სთქვა ერთმა გულ-უბრყვილო მოეკონომისტე მრეწველმა. რა თქმა უნდა, ამგვარ კულტურულ ღონისძიებანით ეკონომიურად მფლობელი კლასსი დაფლობილთაგან მახლობელ სარგებლობას გამოელის,—მაგრამ სამაგიეროდ არც ამ უკანასკნელთათვის ჩაივლის სულ უბრალოდ და უსაგნოდ იგი, რადგან ადრე თუ გვიან ესენიც შეიგნებენ და წამოაყენებენ თავიანთ ინტერესებს, რომლითაც, როგორც ვიცით, პირველთა ინტერესებს ვერ შეეთვისება და დროსა და პირობების მიხედვით მოითხოვს დაკმაყოფილებას...

რაც შეეხება ეკონომიურის და ბუნების მხრით რუსეთის ცალკე ნაწილებად დაყოფვის საქმეს, რომლის საჭიროება განსაკუთრებით მებაღეებმა იგრძნეს,—იგი კრებას გამოურკვეველი დარჩა მასალის უქონლობის გამო. რამდენადაც საჭიროა საზოგადოდ საეკონომიო კითხვების გადაწყვეტისათვის გამოსაკვლევ ქვეყნის ცალკე ნაწილებად დაყოფვა, ამას ყველა კარგად იგრძნობს, როცა ამ გვარ კითხვების შესახებ სწერს. კერძოდ სოფლის მეურნეობის შესახებ ლაპარაკი უამისოდ ყოვლად მოუხერხებელიცაა, თუ არ იცის მკვლევარმა—მეურნემ, მეურნეობის რომელი დარგი, რომელი ნაწილი სადაა გავრცელებული, რა მცენარე, ხეხილი, ბოსტნეულობა, ვენახი და სხ. სადა და სად ჰხარობს; ნიადაგის და ჰავის გამო რა კუთხეში უფრო ეტანებიან იმას და რაგვარ ნივთიერ კეთილდღეობას შეადგენს მკვიდრისას,—მისი გამოკვლევა, სამეურნეო მოქმედება მეცნიერულ ნიადაგს დაშორებული იქნება.

მაგრამ ნაწილებად დაყოფვას, ამგვარ თეორიულ მნიშვნელობის გარდა, პრაქტიკული მნიშვნელობაცა აქვს მეურნეებისათვის, რადგან მათ სამეურნეო დაწყობილობას ამა თუ იმ ნაწილის ბუნების შეუსწავლელ-შეუფერებლად ნიადაგი არ ექმნება და შრომა ტყუილად ჩაუვლით. მაგალითად, ვინმემ რომ მძაფრ ბუნებიან სვანეთში ვენახის, ზეთის ხილის, ჩაისა და სხვა ამგვარის მოშენება განიზრახოს,—იქაურ ბუნებას რომ გაეცნობა, კუდ-ამოძუებული უკან წამოვა. ან კიდევ იმერეთის ხრიოკებზედ ვინმემ გუთანი გაიბას და პურის თესვას შეუდგეს,—გულგატეხილობის მეტს ვერას მოიმკის.

ამგვარსავე პრაქტიკულ საჭიროებად მიაჩნიათ სხვა-და სხვა სამეცნიერო და საადმინისტრაციო დაწესებულებით ქვეყნის ნაწილებად დაყოფვა. აი ამ აზრით გამოსცა ხელახლად სამიწად-მოქმედო დეპარტამენტმა და განაახლა ეხლანდელ გამოფენისათვის თვისი ზემოდ დასახელებული წიგნი და წარუდგინა მებაღეთა კრებას განსახილველად, მაგრამ მან მისი განხილვა უარ ჰყო, რადგან, როგორც ვთქვით, საამისო მასალა არა ჰქონდა და საგანი-კი სახუმრო იყო. ამ წიგნში მთელი რუსეთი 17 ნაწილად არის დაყოფილი ბუნებისა, ნიადაგის და გაკვრით ეკონომიურ გარემოებათა მიხედვით.

ყოველ სამეცნიერო და საადმინისტრაციო დაწესებულებას თავ-თავის სისტემა აქვს ნაწილებად მხარის დაყოფვისათვის. ერთი საზოგადო დამთავრებული შრომა, რომლითაც ყველას შეეძლოს საჭიროების დროს სარგებლობა, არ მოიპოვება *). რაც შეეხება კერძოდ მებაღეობის განვითარების მიმოხილვას, ამ წიგნში მოკლედ ეს დარგი კარგადაა დახასიათებული და ერთ მთლიან სურათს გვირდგენს, თუმცა დაწვრილებითი ცნობების სინაკლულეც ემჩნევა.

ის. კვიცარიძე

---

*) აქვე შევნიშნავთ, რომ ერთ ამგვარ შრომის ვალდს შეადგენს ახლა ცალკე წიგნაკად დასტამბული მოხსენება, „თავ. საკ. საზოგადოებაზე წაკითხული Д. Рихтеръ-ის მიერ—Опытъ раздѣленія Европейской Россіи на раіоны по естественнымъ и экономическимъ признакамъ—98 г. ამ შრომაში რუსეთის დანაწილების დროს გუბერნიებისა და მაზრების სისტემაა მიღებული. კავკასიის შესახებ-კი ამ შრომაშიაც თითქმის არა არის-რა, რადგან მას მასალა არ ჰქონია და ამისათვის არ უშრომნია და შიგ შეუტანია ორიოდე სიტყვით სხვისი ჩვეულებრივი ნათქვამი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი მოგვითხრობს, რომ ბარონ დე-ბაის მიართვეს ყვავილების ჩანგიო, რომელსაც ზედ ეწერა: „მადლობელ კავკასიისაგანაო“. ზრდილობიანი უცხოელი მოერიდა და არ მოჰკითხა რწმუნების წერილი მთელის ამ ქვეყნისა და მეტი რა ექმნა,—მადლობით ჩამოართვა ჩანგი სხვისის სახელის დამჩემებელს მიმრთმეველსაო. აი ისტორია „ისტორიკოსისა“.

როგორც ჰხედავთ, ეს ახალი ავან-ჩავანი ხერატუროვისა დაიცინება და ესე უგემურად რომ არ დაეღრიჯა გაცვეთილი კბილები, არც ასე საზიზღარი და სამარცხვინო იქნებოდა. ერთი ჰკითხეთ ამ ცრუ პენტელა „ისტორიკოსსა“: თვითონ-კი აქვს ბარონ დე-ბაისაგან რწმუნების წერილი, რომ მის მაგივრად გამოსულა და საჯაროდ გვეუბნება: ბარონი დე-ბაი მოერიდა მასპინძლებს, თორემ გუნებაში ედვა მოეკითხნა მათთვის რწმუნების წერილი მთელის კავკასიისაგანა და, რადგანაც სხვა გზა არ იყო, ძალა-უნებურად მადლობით ჩამოართვა ჩანგიო. რომელის რწმუნების წერილით მიანდო ბარონმა დე ბაიმ ამისთანა ვექილობა ამ ვიღაცა მეტიჩარა და არა-მკითხე „ისტორიკოსსა“, რომელიც ასე გულ-ახდილ და ტყუილად იჩემებს სხვისა ვექილობას და სხვისის სახელით საკუთარს სიბრიყვეს ასაღებს.

რა თქმა უნდა, რაკი ხერატუროვი, ეს უბრყვილო ბრილი მარგალიტი კავკასიისა, იქ, წვეულებაში, არ ბრძანებულა, სხვას ვის შეეძლო კავკასიის სახელით ან ელაპარაკნა ან ჩაედინა რამ. ამისი თქმა ხომ არა ჰნებავს ამ უცნაურს „ისტორიკოსსა“? არც საკვირველია, რომ ამისი თქმა სდომებოდეს. მაშ რისღა „ისტორიკოსი“ იქნებოდა ხერატუროვისა, თუ ამისთანა გუნდრუკს არ უკმევს თავისს მწყალობელსა. განა საისტორიო სახსენებელი არ არის, რომ კავკასიაში უხერატუროვოდ მოხდა რაღაც ამბავი და უხერატუროვოდვე ვიღაცამ გაჰბედა კავკასიის ხსენება და კავკასიის სახელით რისამე თქმა. უეჭველია, ასე უნდა ვიფიქროთ, იმიტომ-რომ როცა ხერატუროვი,—ეს პირველი ხარისხის ვარსკვლავი კავკასიისა, ჰლაპარაკობს თავისს გაზეთში მთელის სომხობის სახელითა, ეს ჩვენი ძალად „ისტორიკოსი“ არ მოსთხოვს ვოლმე რწმუნების წერილს მთელის სომხობისას, [illegible] ამ ჩვენს გზა-დაბნეულს „ისტორიკოსს“ ისტორიული საბუთი აქვს ხელში იმისი, რომ ხერატურიანს ან დაბადებით, ან ჩამომავლობით, ან გვარი-შვილობით, ან რაიმე ისტორიულ ღვაწლით ჰრგებია საშურველი და საპატიო უფლება სომხობის სახელით სჭრას და ჰკერის ყოველივე საჭრელი და საკერავი დღევანდელის დღისა, და საჭიროდ აღარა ჰხედავს ამისთანა დიდებულს გვამს ჰკადროს და რწმუნების წერილი სომხობისა მოჰკითხოს. რა თქმა უნდა, არც ჩვენ მოვთხოვთ ამ „ისტორიკოსის“ მიხედვითა და გულწრფელადაც-კი ვიტყვით: ღმერთმა მოახმაროს ხერატუროვი თავისს „ისტორიკოსს“ და „ისტორიკოსი“ თავისს ხერატუროვსა.

ეს კიდევ დიდი არაფერია, რომ „ისტორიკოსმა“ მიჰქარა და ბარონ დე-ბაის სახელით ასეთი საგრძნობელი სიტყვა გულში გვახალა. იგი „ისტორიკოსი“ ამ მართლადა მიქარვას არა ჰკმარობს. იგი თითქო ანიშნებს უცხოელს სტუმარს როგორ უნდა მოქცეულიყო, როცა ჩანგი მიართვეს, და ამისთანა დარიგებას აძლევს: მე რომ შენს ადგილას ვყოფილიყავ, როცა ჩანგი მოგართვეს, ჩანგს თავში ვახლიდი და ვეტყოდი: თქვენ ვინა ყრიხართ, რომ კავკასიის სახელით მადლობას და პატივის-ცემას მიცხადებთ-თქო. წაიკითხეთ უკანასკნელნი სტრიქონნი ამ „ისტორიკოსის“ ისტორიისა და დაგვეთანხმებით, რომ აქ გადაჭარბებული არა გვითქვამს-რა, სწორედ ეს აზრი აქვს გამოთქმული, თუმცა ღობე-ყორეს მოდებით კი და არა ესე პირდაპირ.

რა თქმა უნდა, მართლადაც რომ ჩვენის სტუმრის ადგილას ეს „ისტორიკოსი“ ბძანებულიყო, სწორედ ასე მოიქცეოდა. მითამდა,—რა ზრდილობა და მართებულობა დაუშლიდა ამ უზრდელობის კვეხულსა. სულ სხვაა ზრდილი და მართებული ფრანგი ჩვენდა სასიამოვნოდ და ბრიყვთა „ისტორიკოსთა“ სამწუხაროდ. ზრდილობით და მართებულობით გათქმულნი შვილნი მშვენიერის საფრანგეთისანი არაფერში არა ჰგვანან „Тиф. Листокъ“-ის ცრუ-პენტელა „ისტორიკოსებს“. თითქმის დაბადებითვე ზრდილმა და მართებულმა ფრანგმა ძალიან კარგად იცის პატივი სტუმრისაც, მასპინძლისაც და პურ-მარილისაც და უნდა ეოცებოდეს, რომ ზოგიერთნი ბეჭდურ სიტყვის წარმომადგენელნი ისეთი უზრდელნი არიან, ისეთი გაუთლელნი, როგორადაც ეს ვიღაცა ხეპრე „ისტორიკოსია“.

ვთქვათ, თუნდაც ერთმა ცალკე კაცმა მთელის კავკასიის სახელით ვისმე ყვავილების ჩანგი მიართვა და თან რწმუნების წერილი არ წარუდგინა მთელის კავკასიისა,—ეს რა იმისთანა ცოდვაა, რა იმისთანა დანაშაულია, რომ სტუმარმა მასპინძელს თავში ჩანგი ახალოს და პანღური ჰკრას, შენ ვინა გდიხარო. როგორ მოგწონთ ამისთანა გულახდილობა წინდაუხედავის სიბრიყვისა. ერთი ჰკითხეთ ამ ძალად-„ისტორიკოსსა“: რა გულმა უმოძღვრა, რა კაცობა წაუძღვა წინ, რა ენამ ათქმევინა და რა ხელმა დააწერინა ამისთანა პირ-გახეული მიქარვა? რად არ იცის ამ ენა ჩლუნგმა „ისტორიკოსმა“, რომ ყველას არ გამოუვლია ზრდილობის სკოლა ხერატუროვისა და ეს ზრდილი კულტუროსანი მწურთვნელად ყველას არა ჰყოლია. გოტენტონი, კაცის მჭამელი ბარბაროზიც კი პატივსა სდებს სტუმარ-მასპინძლობას, პურ-მარილობას და სასაცილოდ არც სტუმარს იგდებს, არც მასპინძელსა, არც პურ-მარილს შეუგინებს ადამიანსა და აქაური კულტუროსანთა „ისტორიკოსი“-კი ყოველს ამას საბიაბრუოდ ჰხდის. მეტი უზრდელობა და სიბრიყვე-ღა გაგიგონიათ?..

დასასრულ, ერთი ეს უნდა ვიკითხოთ: ერთნაირად კუდი რად დასწვიათ „Новое Обозрѣніе“-ს და „Тиф. Листокъ“-ს, რომ ჩვენ უმათოდ შევეყარენით, ჩვენს ქვეყანაში მოსულნი სტუმარნი მივიწვიეთ და შეძლებისამებრ პატივი ვეცით? ამ ყოვლად უწყინარმა ჩვენმა საქციელმა რაზედ წაუკიდა ცეცხლი ან ერთს და ან მეორესა? რა მოხდა იმისთანა? ჩვენი პურ-მარილობა, ჩვენი სტუმართ-მოყვარეობა ჰშურთ, თუ იმას გვიკიჟინებენ,—საცა ჩვენა ართ, იქ თქვენ ვინა ყრიხართო, უჩვენოდ როგორ რამე გაბედეთო. ნუ თუ მართლა ასე გაგვიხდა საქმე, რომ თ. გ. თუმანოვს და ხერატუროვს ამისთანა შემთხვევაში უნდა დავეკითხნეთ ხოლმე და უმათოდ არც სტუმარი ვიცოდეთ, არც პურ მარილი, არც ვინ ვაქოთ და არც ვინ ვაძაგოთ?

დასასრულ კიდევ ვიტყვით: გაგონილა ამისთანა უზრდელობა, რომელიც ზემოხსენებულ ვაჟბატონებმა ჩაიდინეს. მაგრამ რა? მათი რა ბრალია? ამათი რა გადასახადია? ტყუილად კი არ არის ნათქვამი:

„ცემა გმართებთ გამზდელისა
თუ ყრმა ჰნახოთ ავად-ზრდილი“.

## ახალი ამბავი

⁂ კავკასიის მთავარმართებლის თანაშემწე გენ.-ლ. ა. ა. ფრეზე 2 ნოემბერს ყარსში გაემგზავრა ტფილისიდგან.

⁂ რადგან ტფილისის ქალაქის გამგეობის წევრთა მ. ს. შესტაკოვისა და თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის სამსახურის ვადა თავდება, ამის გამო 8 ნოემბრისათვის დანიშნულია გამგეობის ორის წევრის არჩევნები.

⁂ ქალაქის გამგეობამ დასამტკიცებლად წარუდგინა საგუბერნიო მთავრობას საბჭოს დადგენილება ცხენის რკინის გზის წარმოების კონცესიის გაცემის შესახებ.

⁂ 2 ნოემბერს ქალაქის საქიმიო ლაბორატორიის მმართველი და ქალაქის მკურნალ-დეზინფექტორი ავჭალაში წავიდნენ იქაურ წყაროებიდგან წყლის ნიმუშების წამოსაღებად და გამოსაკვლევად.

⁂ ტფილისის ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულომ განიხილა ქ. დუშეთის რწმუნებულთა დადგენილება დაფასებისა და სატრაქტირო გარდასახადთა ამკრეფის დანიშვნისა და მისი ჯამაგირის განსაზღვრის შესახებ და დაადგინა გაუქმებულ იქმნას ეს დადგენილება, როგორც საქალაქო დებულების წინააღმდეგი. საკრებულომ გააუქმა აგრეთვე ქ. სიღნაღის რწმუნებულთა დადგენილება იმის შესახებ, რომ არჩეულ იქმნას სახლის პატრონთა შორის კომისია საეროზო გარდასახადთა დავთრების განსაწესრიგებლად.

⁂ ქ. თელავი. 28 ოქტომბერს შეუსრულდა 25 წელი სამასწავლებლო ასპარეზზედ მოღვაწეობისა თელავის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელს ილია აბრამის ძეს ზარაფიშვილს. ამ დღეს დილით, მცირე პარაკლისის შემდეგ, ხსენებულ სასწავლებლის შენობაში მისმა თანამოსამსახურე მასწავლებლებმა და ამხანაგებმა სადილი გაუმართეს. სადილის დროს სიტყვა უთხრა სასწავლებლის ზედამხედველმა ბ-ნმა სოგინმა, რომელმაც აღნიშნა მისი უანგარო სამსახური, როგორც სამაგალითო მასწავლებლისა და აღმზრდელისა.

ილია აბრამის ძე ზარაფიშვილი კარგად ცნობილია ჩვენს ღარიბ ლიტერატურაშიაც. ვის არ წაუკითხავს „ივერიაში“ ადგილობრივ ვითარებათა მშვენივრად დამახასიათებელი „ნადიკვრელი“-ს წერილები თელავიდგან და საზოგადოდ კახეთიდგან. იუბილიარს მოუვიდა აგრეთვე რამდენიმე დეპეშა მეგობრებისა და მისის ყოფილ მოსწავლეებისაგან.

⁂ ქუთაისიდგან „ახ. მიმ.“-ს ატყობინებენ, რომ რადგან საერო და სახელმწიფო გარდასახადთა გაწერის ვადა უკვე დადგა და რადგან ამასთან დამტკიცებულ არ იქმნა საადგილ მამულო გარდასახადთა განაწილება იმათ შორის, რომელიც საკომლო გარდასახადს არ იხდიან, ამის გამო ადგილობრივს სახაზინო პალატას განზრახვა ჰქონია შუამდგომლობა აღძრას კავკასიის უმაღლესის მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ შედგენილ იქმნას გარდასახადთა ფურცლები მომავალ 1900 წლისათვის ძველ განაწილების მიხედვით.

⁂ ბაკურიანის ვიწრო ლიანდაგიან რკინის გზის გასაყვანად მუშაობას განაგრძობენ. ამ ჟამად მიწის მუშაობა სწარმოებს სამუშაოდ ყველაზედ უფრო საძნელო მთაგორიან ადგილას სოფ. წაღვერსა და ს. ბაკურიანს შუა.

⁂ ქ. სიღნაღი. სიღნაღის მაზრაში მძვინვარებს ყვავილი. ეს სენი განურჩევლად მუსრს ავლებს როგორც დიდებს, ისე პატარებს. ამ დღეებში, მაგალითად, გამოასალმა წუთი-სოფელს დანიშნული და ჯვარის დასაწერად მომზადებული მირზაანელი გლეხი იასე პაპაშვილი. აქაურს სოფლებში ღვინო ბლომად მოვიდა, მაგრამ ფასი ნაკლებდა აქვს ჯერ. 26 ოქტომბერს მოჰკლა ს. ბოდბის ხევში თავისავე ბიძაშვილმა გაბრო ყაჯრიშვილი და დაობლა მისი წვრილ-შვილი.

ჩვენკენ მშვენიერი შემოდგომაა. კარგი დარებით ისარგებლა ჩვენმა მოსაქმე ხალხმა და ბლომად დახნა ახო-მინდვრები. სიღნაღში ეხლა დიდი მხიარულებაა: სიმღერა და ქეიფი გაისმის თითქმის ყველა ქუჩაზე. ეს სიმხიარულე და მოძრაობა გამოიწვია კარგმა ვაჭრობამ, ქორწილებმა და ნამეტნავად ყმაწვილ კაცებმა, რომელნიც სამხედრო ბეგარის გადასახდელ კენჭის ამოსაღებად არიან გამოწვეულნი. წინანდებურად ვეღარ ნახავთ თვალ ცრემლიან ყმაწვილ კაცს. დედაკაცებს ხომ სულ ვეღარ დაინახავთ კენჭის ამოღების დროს.

⁂ მოზდოკი. 26 ოქტომბერს, ღამით, ვიღაც ბოროტმა ადამიანმა ცეცხლი წაუკიდა ერთის ნემეცის ზეთის ქარხანას, რომელიც სულ მთლად გადაიბუგა. როგორც თვითონ ქარხნის პატრონმა სთქვა, რამდენიმე ათასი ფუთი ზეთი ყოფილა ქარხანაში და ერთიც ძროხა თავისი ხბოთი და ისინიც დამწვარან. შენობა ხისა იყო. როგორც ამბობენ, დაზღვეული არ ყოფილა ეს ქარხანა.

⁂ ფრონის ხეობა (ქართლი) მოატანა შემოდგომამ თუ არა, აქაურს სოფლებში გაჩნდა ქურდობა. ქურდები არა ჰზოგავენ მცირედს რასმესაც. მაგ., ამ დღეებში ს. დვანში თავად გიორგი ფავლენიშვილს მოჰპარეს საქათმედგან ორმოცი ქათამი, ლიტრა და სხვა, რაც-კი ხელში მოხვდათ. იმ ღამესვე მოიპარეს სხვის სახლის ერდოდგან ჩურჩხელები, ხახვი, კაკალი და სხვ. აგრეთვე ერთს გლეხს მოჰპარეს ორი ხარი. თავ. გიორგი ფავლენიშვილმა თუმცა იშრომა და ქურდების აღმოჩენას შეუდგა, მაგრამ ამაო იყო ძებნა.

⁂ 19 ოქტომბერს, სოფ. ბაზხის ხევში (თიან. მაზ.) მცხოვრების გიორგი ბაზიერაშვილის ცოლი—მარიამი, 17 წლისა, იპოვნეს ტყეში ხეზე წნელით ჩამოკიდებული. როგორც გამოძიებიდგან აღმოჩნდა, საქმე ასე ყოფილა: ამ მარიამს ჰყვარებია ერთი ახალგაზდა კაცი. 12 ოქტომბერს წასულა მასთან და რამდენსამე დღეს დარჩენილა. მეზობლების რჩევა დარიგებით, რომ დაბრუნდი ქმრის სახლშიო, მარიამი დათანხმებულა თურმე და გამოჰყოლია კიდეც მეზობლებს, მაგრამ თავ-მოყვარეობას ნება არ მიუცია მისულიყო ქმართან, განგებ უკან ჩამორჩენილა და ამხანაგებისთვის უთქვამს, მალე დაგეწევითო. იმ დღეს შინ აღარ მისულა. მეორე დღეს ქმარი ჯერ ცოლის საყვარელთან გასულა და რა უნახავს, რომ იქ არ იყო, ტყეში წასულა საძებნელად. სამი ოთხი დღე უძებნია, მაგრამ ვერსად უპოვნია. 19 ოქტომბერს აცნობეს ქმარს, რომ მარიამი ტყეში ხეზედ არის ჩამომრჩვალიო. წავიდნენ და მართლაც სოფლიდგან ექვსი ვერსის მოშორებით ტყეში იპოვნეს დამხრჩვალი ქალი, რომელიც მაშინათვე ჩამოხსნეს და სოფელში მიიტანეს.

## ქუთაისში განზრახულ მეაბრეშუმეთა კრების შესახებ.

(ჩვენის ქვეყნის მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ)

როგორც უკვე ვაუწყეთ მკითხველს, მომავალ მეაბრეშუმეთა კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საგნები: რა მდგომარეობაშია ამ ჟამად დასავლეთ-საქართველოში მეაბრეშუმეობა, ბჟოლის (თუთის) ხის მოვლა-გაშენება, აბრეშუმის გრენის (თესლის) დამზადება და ყიდვა-გასყიდვა, აბრეშუმეულობის ქსოვილების შინაური მრეწველობა, აღებ-მიცემობა მეაბრეშუმეობის ნაწარმოებისა და სხვა; რა და რა ზომები უნდა ჰქონდეს შემოღებული ზემოდ ჩამოთვლილი წარმოების გასაუმჯობესებლადა და გასაძლიერებლად. უმთავრეს საჭიროებად ჩვენში მეაბრეშუმეობის გაუმჯობესებისათვის უნდა ჩაითვალოს პასტერის სისტემით *) დამზადებულ საღის გრენის (თესლის) გავრცელება მეაბრეშუმეთა შორის. უმეტესი ნაწილი ჩვენში გავრცელებულის გრენისა უვარგისია „საბაზრო“-ა და ცახზედ ასვლამდე იხოცება ჭიები. ასე რომ მეაბრეშუმე

*) პასტერის (საფრანგეთის გამოჩენილი მეცნიერი იყო) საშუალებით თესლი ასე მზადდება: კარგის თვისების სანაშენედ არჩეულ პარკებიდგან გამოჰყავთ პეპელები, რომლებსაც (დედალ მამალს) ბლონდის პარკუჭანებში ათავსებენ. რამდენისამე დღის შემდეგ აქ დედალი პეპელა თესლს დაჰყრის 500 მარცვლამდე. ორის ან სამის თვის შემდეგ ყველა პეპლები უნდა გადირჩეს მიკროსკოპიულად და თუ რომელსამე რწყვილ პეპელას რაიმე სენი (პებრინა) აღმოაჩნდა, ის პარკუჭანა, საიდგანაც პეპლები ამოღებული იყო, გრენითვე უნდა დაიწვეს,—თუ პებრინა ან სხვა რაიმე სენი არ აღმოჩნდა, მაშინ პარკუჭანებს გადაარჩევენ, თესლს გარეცხვენ და „ცელულიარულის თესლის“ სახელით იყიდება. რადგანაც პასტერის საშუალებით დამზადება თესლისა ძნელია და ბევრი ფულიც უნდება, აძისათვის ამისთანა თესლი გაცილებით მეტ ფასად ღირს, მაგ., ძირხალი 50 კ. ერთ ძანეთამდე; ჩვენში-კი 60 კ. პეკად იყიდება უმეტეს ნაწილად. (ურჩევთ მეაბრეშუმეებს, ამ ფასს ნუ დაიძურებენ, თუ საღ თესლს იშოვნიან). თესლი მზადდება კიდევ ძველებურად ე. ი. პეპლები მოთავსებულია თაბახ ქაღალდზედ და ყველა პეპლების დაყრილი თესლი ერთმანეთშია არეული საღისაც და სნეულისაც და არც მიკროსკოპიულად ირჩევა; ერთის სიტყვით, ისე როგორც ძველებურ დროში ამზადებდნენ ჩვენში. ამ გვარად დამზადებულ თესლს „საბაზრო“ თესლს უწოდებენ, ან „ინდუსტრიალურს“. ამ საგნის შესახებ დაწვრილებითი ცნობები იხ. „ივერიის“ ნომერში, 8 თებერვლის, 1895 წ.

ი. ქ.

ერთის მხრივ ჰკარგავს ფულს (თესლისა და ბულლის ფასს) მეორეს მხრივ მეტს დროს და შრომას.

თესლი ჩვენში შემოაქვთ სტამბოლიდგან, საფრანგეთიდგანა და იტალიიდგან, სადაც ორ-ნაირ საშუალებით—პასტერის სისტემით და საბაზროდ—მზადდება თესლი. პასტერის სისტემით დამზადებული თესლი კარგ ფასად იყიდება—მისხალი 50 კაპ. 1 მანათამდე; საბაზროდ დამზადებული თესლი-კი მოაქვთ ჩვენში და ჰყიდიან 15—50 კაპეიკამდე. ხანდახან საბაზროდ დამზადებულ თესლში გაურევენ ხოლმე მისი გამყიდველები რამდენსამე ყუთს სალს თესლს და ამ ყუთებს დაურიგებენ საპატიო მეაბრეშუმეთაგანს სოფლებში იმ აზრით, რომ როცა სხვა მეაბრეშუმეები, რომლებსაც საბაზრო თესლი აქვთ შეძენილი საყვედურს განაცხადებენ და თესლის ფასის გარდახდის უარს იტყვიან, მაშინ სალის თესლის მიმღებელ მეაბრეშუმეებს ზედ მიუთითონ და შარი მოსდონ, რომ თესლის წახდენა და მოსავლის მოუცემლობა იმათი ბრალი კი არაა, მეაბრეშუმეების ბრალიაო. ბოლოს საქმე სასამართლოს წესით თავდება და საბრალო მეაბრეშუმეს ახდევინებენ 4—7 მანეთამდე თითოეულს ყუთში. წელს დასავლეთ საქართველოს სასამართლოები სავსეა ამ ნაირის საჩივრებით. მთავარ-მართებლის სახელზედაც ბევრი თხოვნა იქმნა გაგზავნილი. რასაკვირველია, სალი თესლის შეძენისაგანაა დამყარებული მეაბრეშუმეს კეთილ-დღეობა და ამისათვის ყველა დიდი თუ პატარა იმას გაიძახის და იხვეწება, რომ გვიშველეთ, მოგვაწოდეთ სალი თესლიო.

ყველგან, სადაც-კი არსებობს მეაბრეშუმეობა: საფრანგეთსა, იტალიასა, ბოლგარიასა, ავსტრიასა და უნგრეთში, თითქმის ოსმალეთშიაც-კი, არის შემოღებული კანონები, რომლის ძალითაც აღკრძალულია უვარგისის თესლის გაყიდვა ან შემოტანა ზემოდ ჩამოთვლილ სახელმწიფოებში. ოსმალეთში, მაგალითად, შემოღებულია შემდეგი კანონი: 1) არავის არა აქვს ნება, რომ დაამზადოს თესლი გასასყიდად, თუ არა აქვს მოწმობა მთავრობის საბრეშუმო დაწესებულებისაგან იმის შესახებ, რომ თესლის დამზადება პასტერის სისტემით შეუძლიან, და ამ საგნისა ეგზამენიც დაუჭერია. 2) ვინც ზემოდ ნაჩვენებ მუხლს გვერდს აუქცევს და ნება-დაურთველად გაჰყიდის თესლს, იმას გრენა წაერთმევა და დიდ ფულსაც გარდიხდის ჯარიმად, (წართმეულ თესლს კეთილ-სინიდისიან კაცთა თანადასწრებით სწვავენ და გაზეთებშიაც აცხადებენ, რომ ამა და ამ ფირმის თესლი დამწვარ იქმნაო). ვინც მთავრობას აუწყებს, რომ ამა და ამ გრენიორმა დაამზადა საბაზრო თესლი, ნება-კი არა ჰქონდაო, ეძლევა ჯარიმის რაოდენიმე ნაწილი.

იოსებ ქუთათელაძე

(შემდეგი იქნება)

# უცხოეთი

**ინგლის ტრანსვაალის ომი.** გენერალ უაიტის სამეცლად ლეიტენანტმა ეგერტონმა ამას წინად ზღვაოსანთა რაზმი წაიყვანა სამხედრო ველადგან. ლედი-სმიტთან ბრძოლის დროს ეგერტონი დასჭრა ყუმბარის ნაგლეჯმა და ამ დღეებში გარდაიცვალა, მას შემდეგ, რაც ექიმებმა ორივე ფეხი მოსჭრეს. განსვენებული იყო ადმირალ ეგერტონის შვილი და ცნობილ სახელმწიფო მოღვაწის—დევანშირის ჰერცოგის შვილის-შვილი. იმის გარდაცვალების გამო გაზეთი „Daily News“-ი ამბობს, რომ სამხრეთ აფრიკის ომში ბევრი წარჩინებული ინგლისელი იღებს მონაწილეობასო. მაგალითად, მეფის-გში ყოფილა, ბადენ პოუელის ჯარში, მინისტრ-პრეზიდენტის ლორდ სოლისბერის შვილი—ლორდი ედვარდ სესილი; სამხედრო მინისტრის ლორდ ლენსდოუნის ორი შვილი—გენერალ ბულლერის კორპუსში ყოფილა ჩარიცხული, ხოლო ინდოეთის საქმეთა მინისტრის ლორდ გამილტონის და მისი ცოლის 11 შვილი მსახურებს კაპის ახალშენში. ოპოზიციის მხრით ლორდი ტვიდმაუტი და ლორდი რიბბსდეილი ირიცხებიან მხედრობაში.

— ერთი ანგლისური გაზეთის კორესპონდენტის სიტყვით, ბურების სამხედრო გეგმა იმაში მდგომარეობს, რომ სრულებით მოუჭრან გზა ანუ გაანადგურონ გენერალ უაიტის ჯარი, მერმე დურბანში წავიდნენ და იქ სიმაგრეები დაიჭირონ, რათა ნაპირზედ გადმოსვლის ღონისძიება მოუსპონ ინგლისის ახალს ჯარს; ამის შემდეგ მიატოვონ ნატალი და მთელი თავიანთი ყურადღება მიაპყრან კაპის ახალშენის ჩრდილოეთ მხარეს, სადაც მათ მიელიან ინგლისის წინააღმდეგ აჯანყებული ახალშენები. ამ უკანასკნელთა დახმარებით ბურები წინ უნდა გადაეღობონ გენერალ ბულლერს, რომელიც ორანჟეს რესპუბლიკას უპირებს თავ-დასხმას სამხრეთ საზღვრებიდგანო. როგორც ბურების მოქმედება გვიჩვენებს, ასეთი გეგმა მართლაც უნდა ჰქონოდათ მათ, მაგრამ ბერლინიდგან მოსული გუშინდელი დეპეშა იუწყება, რომ გენერალმა ბულლერმა გარდასწყვიტა 10,000 კაცით წავიდეს დურბანიდგან უაიტის გამოსახსნელადაო. დეპეშა დასძენს, რომ უაიტმა უნდა მოახერხოს თავისი ჯარის გაყვანა ლედი-სმიტიდგან კოლენზოსაკენო. თუ ეს ამბავი მართალია, დღე-დღეზედ მოხდება მთავარი ბრძოლა ბურებსა და ინგლისის ჯარს შორის, და ამ შეტაკებამ, შეიძლება, ასე თუ ისე სრულებით გარდასწყვიტოს ეხლანდელი ომის საქმე.

— ლონდონის პოლიტიკური წრეები დარწმუნებული არიან, რომ, ხმელეთ ევროპის გაზეთების მითქმა-მოთქმის წინააღმდეგ, დიდი სახელმწიფონი, სანამ ეხლანდელი ომი არ გათავდება, მტკიცედ დაიცვენ ნეიტრალიტეტსო. გერმანიის იმპერატორის გარდაწყვეტილება, რომ ინგლისის დედოფლის სანახავად წავიდეს ვინზორში, იმის საბუთად მიაჩნიათ ინგლისელებს, რომ გერმანია მონაწილეობას არ მიიღებს არავითარს მოძრაობაში ინგლისის ინტერესის წინააღმდეგ.

### დამოძღვრილი

თავადი თუ არ იღვწის და ოფლით თვისით და კეთილის ცხოვრებით არ შეიძენს საზრდელსა, უფლებაცა ესპობა.

კამბიზ

* * *

ცხოვართა და ხვასტაგთა მწყსვა ადვილი საქმეა, ხოლო კაცთა გამგეობა ფრიად ძნელი საზრუნავია და საჭირნახულო ღვაწლია.

კვიროსი

* * *

შეურიგდით იმ აზრს, რომ კაცთა ხვედრი ერთი დაუბოლოვებელი ტანჯვაა და მაშინ უოკელ ტანჯვა გაებას ადვილად აიტანთ.

ბ. დ—შვილი

### ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამ ორის წლის წინად ვინმე ვილიამ რეიმანმა განიზრახა ველოსიპედით დედამიწის შემოვლა. რეიმანი ვარშავასა, მოსკოვსა და ციმბირზედ აღმოსავლეთისკენ გაემართა. დღემდის რეიმანის შესახებ არაფერი ისმოდა, მხოლოდ ამას წინად ერთ ვარშავულ გაზეთში დაიბეჭდა რეიმანის წერილი, იაპონიის ქალაქ ნაგასაკიდგან გამოგზავნილი.

„დღეს, 3 ივლისს,—იწერება რეიმანი,—როგორც იქმნა მოვაღწიე იაპონიას. ვლადივოსტოკიდგან კორეისაკენ გავემართე. კორეიაში მგზავრობის დროს დიდი ტანჯვა და წვალება გამოვიარე, უფრო დიდი, ვიდრე მანჯურიაში მოგზაურობის დროს. გზები კორეიაში სრულიად არ არის, რის გამო ველოსიპედით მგზავრობა მეტად ძნელია. გენზანიდგან კორეიამდე (800 ვერსი) ორი კვირა მოუნდი. საგძალი თან ერთი კვირისა წავიღე, და კინაღამ მეორე კვირას მშიერი მოვკვდი, რადგანაც საჭმელი ვერსად ვერ ვიშოვნე. უკანასკნელ ორ დღეს თავთავებსა ვკრეპდი და იმასა ვჭამდი. ზედ ამას წვიმაც დაერთო. წვიმა მთელი ექვსი დღე მოდიოდა. ბოლოს ისე გავხდი ავად, რომ გენზანში ექვსი დღე ვიწექი. ეხლა ძალიან კარგად ვარ და ამ დღეებში იოკაგამისაკენ წავალ, ხოლო იქიდგან ამერიკაში გავწევ.

# განცხადებანი


პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება-რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. —3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




ახალი საშუალება

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

„კვერცხის რძე“

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან დამწვარ კანს, სპობს მეჭეჭებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია**: დიდი ქილა —2 მან., პატარა —1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთიქო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ № 15, სახლ 12. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. საათფთიქო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში, იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის საათფთიქო მაღაზიაში.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ ფოსტით გაეგზავნებათ. (100—150—33)

ქ. ხონში გაიხსნა ახალი

წიგნის მაღაზია

ვასილ კორძაძისა.

მსურველთ შეუძლიანთ მაღაზიაში შოვნა ყოველის რუსულ-ქართულის სახელმძღვანელო წიგნებისა, რვეულებისა და ყოველივე საკანცელარიო ნივთებისა; აგრეთვე სხვა-და-სხვა რუსულ-ქართულ წიგნებისა. ამას გარდა მაღაზიაში იშოვება სხვა-და სხვა წვრილმანი სუფთა ნივთებიც. ფასი ყოველივე ნივთისა ზომიერია. ბევრის საქონლის ერთად მყიდველს დათმობა მანეთზედ რამდენიმე კაპ. სკოლის მასწავლებელთ ფას-დაკლებით შეუძლიანთ იყიდონ ყოველივე სამოსწავლო ნივთები. ვღებულობთ საკომისიოდ გასასყიდ წიგნებს.

ადრესი: ხონი, წიგნის მაღაზია ვ. კორძაძისა, კოპეშავიძის სახლებში.

(1—169—1)

1900 Г.

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА

„ЮРИДИЧЕСКУЮ ГАЗЕТУ“

СЪ БЕЗПЛАТНЫМЪ ПРИЛОЖЕНІЕМЪ

„Сборника рѣшеній Уголовнаго и Гражданскаго Кассаціонныхъ Департаментовъ и Общаго Собранія Правительствующаго Сената“ и „Собранія узаконеній и распоряженій Правительства“.

Выходитъ два раза въ недѣлю *): по воскресеньямъ и четвергамъ

без предварительной цензуры.

Годовая подписная цѣна съ доставкою и пересылкою 7 руб.

Допускается разсрочка въ платежѣ: при подпискѣ—4 руб и къ 1-му апрѣля—остальные—3 рубля.

Правительственныя и общественныя учрежденія, а также должностныя лица этихъ учрежденій вправѣ подписываться въ кредитъ, но при условіи, чтобы: а) требованія были заявлены на бланкѣ присутствія съ указаніемъ числа, мѣсяца, года и №; б) при требованіи были присланы два рубля, и в) требовательномъ бланкѣ опредѣленъ былъ срокъ, къ которому должны быть доставлены въ редакцію остальныя подписныя деньги (5 р.) за газету, при чемъ учрежденіе принимаетъ на себя отвѣтственность за своевременную присылку остальныхъ денегъ (5 р.), до истеченія того года, на который сдѣлана подписка.

(Адресъ: С.-Петербургъ, Невскій пр., д. № 59).

ПРОГРАММА: Передовыя статьи.—Обзоръ постановленій отечественнаго и послѣднихъ важнѣйшихъ постановленій иностраннаго законодательствъ. Статьи и замѣтки специально юридическаго содержанія.—Рисунки и иллюстраціи къ тексту статей на общемъ основаніи.—Вѣсти и слухи.—Корреспонденціи.—Фельетонъ.—Рѣшенія Правительствующаго Сената.—Отчеты о судебныхъ засѣданіяхъ и процессахъ.—Рефераты юридическихъ ученыхъ обществъ и диспуты.—Движеніе по государственной и общественной службѣ (приказы министерствъ.)—Списки дѣлъ, назначенныхъ къ слушанію въ Департаментахъ и общихъ собраніяхъ Правителствующаго Сената.—Списки лицъ, состоящихъ подъ опекою, признанныхъ несостоятельными, возстановленныхъ въ правоспособности, а также объявленія объ уничтоженныхъ довѣренностяхъ (Сенатскія объявленія).—Обзоръ юридическихъ журналовъ.—Новыя книги и отзывы о нихъ (библіографія). Объявленія.

Вмѣстѣ съ этимъ, подписчики, внесшіе полную годовую плату за газету, могутъ обращаться въ контору „Юридической Газеты“ за справками по дѣламъ какъ судебнымъ, такъ и административнымъ, и за разрѣшеніемъ юридическихъ вопросовъ по дѣламъ, касающимся ихъ имущественныхъ и личныхъ интересовъ. Порученія эти редакція принимаетъ на себя при соблюденіи слѣдующихъ условій:

§ 1. Сообщеніе въ «Юридической Газетѣ», въ отдѣлѣ «Почтоваго ящика», справокъ о резолюціяхъ Кассаціонныхъ Департаментовъ Правительствующаго Сената, но не болѣе 3-хъ разъ въ теченіе подписнаго года, дѣлается безплатно. Лица же, желающія получить по дѣламъ Кассаціонныхъ Департаментовъ Сената справки по почтѣ, прилагаютъ два рубля за каждую справку по каждому отдѣльному дѣлу, а желающія получить ее по телеграфу присылаютъ кромѣ двухъ рублей и стоимость отвѣтной телеграммы.

§ 2. Наблюденіе за ходомъ дѣла, какъ составляющаго предметъ особаго порученія болѣе или менѣе продолжительнаго, производится на условіяхъ особаго предварительнаго соглашенія съ конторою редакціи.

§ 3) Справки и порученія по судебнымъ и административнымъ департаментамъ Правительств. Сената, равно какъ и по всѣмъ, вообще, кромѣ Кассаціонныхъ Департаментовъ Сената (см. выше § 1-й), центральнымъ и мѣстнымъ административнымъ и судебнымъ учрежденіямъ (правительственнымъ и общественнымъ) должны производиться на условіяхъ особаго предварительнаго соглашенія съ конторою редакціи.

§ 4) Разрѣшеніе юридическихъ вопросовъ по дѣламъ, касающимся имущественныхъ и личныхъ интересовъ, сообщеніе совѣтовъ и т. п. производится письменно по почтѣ, на условіяхъ особаго предварительнаго соглашенія съ конторою редакціи.

§ 5. Лица и учрежденія, обращающіяся за справками, обязаны сообщать: а) бандероль, за которою получаютъ „Юридическую Газету“; б) когда и кѣмъ поданы прошеніе или жалоба; в) на рѣшеніе какого присутственнаго мѣста или должностнаго лица, и г) когда и какимъ присутственнымъ мѣстомъ и должностнымъ лицомъ прошеніе или жалоба отправлены въ Сенатъ или другое правительственное учрежденіе.

§ 6,—При не взносѣ полной годовой подписной платы и при неисполненіи условій указанныхъ выше въ §§ 1—5 настоящей программы, всѣ требованія, запросы и порученія оставляются безъ движенія, такъ какъ порученія, предусмотрѣнныя § 1, обазательны для конторы, если подписчикомъ исполнены требованія, указанныя въ §§ 1 и 5, а порученія, предусмотрѣнныя въ §§ 2—4, могутъ считаться обязательными для конторы лишь тогду, когда послѣдняя изъявитъ согласіе принять исполненіе возлагаемаго на нее порученія.

§ 7. Контора редакціи «Юридической Газеты» также принимаетъ на себя указаніе адресовъ повѣренныхъ для веденія дѣлъ.

*) Въ дни Рождества Христова, равно на сырной, страстной и пасхальной недѣляхъ, а также въ два лѣтніе мѣсяца (съ 15 іюня по 15 августа) газета выходитъ по одному разу въ недѣлю.


Дозволено цензурою, Тифлисъ 3 Ноября 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე